

ტენესი უილიამსის დრამის „ტრამვაი სახელად სურვილი“ მთავარი თემა და
მისი რეფლექსია ამრიკულ და ქართულ სცენაზე

ელენე შენგელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა ჩხეიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადირსექტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინარულ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე შენგელია 21.06.2018

აბსტრაქტი

1940-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს გარკვეული სახელწიფოებრივი, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გააჩდა, რაც, ცხადია, ლიტერატურაზეც აისახებოდა. წინამდებარე ნაშრომი ეთმობა ტენესი უილიამსის დრამის „ტრამვაი სახელად სურვილის“ მთავარი თემის კვლევას, პიესის რეფლექსიას ამერიკულსა და ქართულ სცენაზე . უფრო კონკრეტულად კი განხილულია ორი სპექტაკლი: ამერიკელი რეჟისორის ელია კაზანის „ტრამვაი სახელად სურვილი“ (1947) და ქართველი რეჟისორის ქეთი დოლიძის „ტრამვაი-სურვილი“ (2015). კვლევის მეთოდად გამოყენებულია კომპარატივისტიკის, ახალი კრიტიკისა და ახლო კითხვის მეთოდები. მიმოხილულია 1940 იანი წლების ამერიკის ისტორიული ფონი, ისევე როგორც სოციალურ-ეკონომიკური და დრამატურგიის ისტორიული კონტექსტი.

ზემოაღნიშნული დრამის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მისი მთავარი თემა, ავტორისეული მიზნები, მითითებები და „პრეტენზიები“. ყურადღება მახვილედება იმ ფაქტორებზე თუ როგორ იაზრებენ და გადმოაქვთ ზემოხსენებული დადგმების რეჟისორებს პიესის თავისებურებები. სპექტაკლების ანალიზის საფუძველზე გამოიყო პერსონაჟთა და თემათა მსგავსება-განხვავებები. მაგალითად, ელია კაზანის ისევე როგორც ქეთი დოლიძის დადგმა ერთ პერსონაჟს გამოჰყოფს განსაკუთრებით, მათზე აგებენ ფაბულის ცენტრს. ორივე სპექტაკლს მელოდრამული სტილი აქვს. მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე დაკვირვების შედეგად გამოაშკარავდა კონკრეტული საკითხების: ოჯახური ძალადობის, მორალურ-ზნეობრივი, ყოფიერი, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და ქალის უფლებების გააზრების სპეციფიკა კულტურულად განსხვავებულ ორ გარემოში. კვლევის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა განსხვავებები: „სურვილის-ტრამვაი“ ნაკლებად იზიარებს ავტორისეულ მითითებებსა და „მესიჯებს“. გარდა ამისა იკვეთება სხვა უზუსტობებიც, რომელიც დაწვრილებით წარმოჩინდება ზემოაღნიშნულ ნაშრომში.

კვლევამ აჩვენა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს, შესაბამისად 1947 და 2015 წლების, კულტურული და სოციალური მსგავსებები, რომლებიც აიხსნება ამ ქვეყნებში დაფუძნებული სოციალ-პოლიტიკური ფონით.

საკვანძო სიტყვები: რეფლექსია, უილიამსი, კაზანი, დოლიძე

ABSTRACT

In 1940s the United States of America had diverse national, cultural and socio-political problems which obviously had a great influence on literature.

The aim of the following thesis is to study the drama “Streetcar Named Desire” by Tennessee William and its reflection on American and Georgian stage. To be more precise, two performances are discussed below - the first one is “Streetcar Named Desire” (1947) by Elia Kazan and the second one is “Streetcar- Desire” (2015) by Ketii Dolidze. As for the methodology, the method of Comparative literature, New Criticism and Close Reading are utilized. The paper covers historical and socio-economic contexts of 1940s as well as the historical background of American dramaturgy

On the ground of the analysis of the drama several aspects were framed - the main idea of the play, the author’s aims, instructions and “pretensions”. Yet, the main accent is put on how the directors of these spectacles share and display the play’s characteristics and peculiarities and as a result, a number of similarities and differences have been depicted between characters and themes. To illustrate, both directors, Elia Kazan and Kate Dolidze, make an emphasis on one character, the center of the fable is constructed around only one hero or heroine and what is more, both plays share the melodramatic style. While studying these two stage plays the specific similar issues and themes have been noticed such as - family violence, existential, social, economic, moralistic, ethical and mental problems as well as the dilemma of understanding the

concept of women's rights in two culturally different environments. According to the research a number of differences have also been observed: Georgian director pays less attention to Tennessee Williams's "messages" and instructions. Moreover, other inaccuracies have been identified which will be revealed and exposed in the thesis.

All in all, the study has identified some social and cultural similarities between the U.S (1947) and Georgia (2015), which can be explained by the existed socio-cultural context in those countries.

Key Words: Reflection, Williams, Kazan, Dolidze